ლალი ფირცხალავა, ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე

ისტორია 10

მოსწავლის რვეული

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სახელი _____

გვარი _____

კლასი _____

1. განმარტეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები

ბუნიობა

ერა

კალენდარი

პერიოდიზაცია

პრეისტორიული

ქორონიკონი

ჰიჯრა

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი

2.1 ისტორიის კვლევა და ისტორიის სწავლება პროფესიად იქცა:

ა) XX საუკუნეში;
ბ) XIV საუკუნეში;
გ) XVII საუკუნეში;
დ) XIX საუკუნეში.

2.2 ჰიჯრის კალენდარი წარმოადგენს:

ა) რევოლუციურ კალენდარს;
ბ) მთვარის კალენდარს;
გ) მზის კალენდარს;
დ) მთვარე-მზის კალენდარს.

2.3 ქრისტიანებისათვის „მოწამეთა ხანა“ გახდა:

ა) ბაბილონური ერა;
ბ) არშაკიანთა ერა;
გ) დიოკლეტიანეს ერა;
დ) სელევკიანთა ერა.

2.4 კლავდიუს პტოლემაიოსის პერიოდიზაციას შეიძლება ვუწოდოთ:

ა) პერიოდიზაცია მსოფლიო რევოლუციების მიხედვით;
ბ) პერიოდიზაცია მსოფლიო იმპერიების მიხედვით;
გ) პერიოდიზაცია მსოფლიო ომების მიხედვით;
დ) პერიოდიზაცია მსოფლიო რელიგიების მიხედვით;

2.5 ისტორიული პერიოდიზაციის სამწევროვანი სისტემა შეიმუშავა:

ა) ჟან ბოდენმა;
ბ) ჟიულ მიშლემ;
გ) ქრისტეფორე კელერმა;
დ) ევსები კესარიელმა.

2.6 თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში „მოკლე XX საუკუნის“ ცნება შემოიტანა:

ა) ერიკ ჰობსბაუმმა;
ბ) ოსვალდ შპენგლერმა;
გ) ადამ სმიტმა;
დ) არნოლდ ტოინბიმ.

2.7 ევროპულ ტრადიციაზე დაყრდნობით, საქართველოს ისტორია სამ ნაწილად პირველმა დაყო:

ა) თეიმურაზ ბაგრატიონმა;
ბ) ლეონტი მროველმა;
გ) ვახუშტი ბატონიშვილმა;
დ) სულხან ბარათაშვილმა.

3. გაიხსენეთ, ვის ეკუთვნის სიტყვები:

3.1 „ისტორია, ანუ ადამიანის ქმედებანი წარსულში, ესაა მხოლოდ გონიერ მოქმედ პირთა მიერ ჩადენილი საქმეები გონებით ნაკარნახევი მიზნების მისაღწევად.“

_____

3.2 „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია.“

_____

3.3 „ისტორია... იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც.“

_____

4. დაალაგეთ ქრონოლოგიურად ისტორიული პიროვნებების მოღვაწეობის დრო და მოვლენები

4.1 დაალაგეთ თანმიმდევრობით ცნობილი ევროპელი მოაზროვნეები და ისტორიკოსები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

ქრისტეფორე კელერი ☐
მარკ ბლოკი ☐
ჟან ბოდენი ☐

4.2 დაალაგეთ თანმიმდევრობით ცნობილი ქართველი მოაზროვნეები და ისტორიკოსები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

ვახუშტი ბატონიშვილი ☐
ლეონტი მროველი ☐
სულხან ბარათაშვილი ☐

4.3 დაალაგეთ თანმიმდევრობით კალენდრები მათი შექმნის დროის მიხედვით:

- ☐ ჰიჯრის კალენდარი
- ☐ გრიგორიანული კალენდარი
- ☐ იულიუსის კალენდარი

4.4 დაალაგეთ თანმიმდევრობით ისტორიის პერიოდიზაციის სისტემები მათი შექმნის დროის მიხედვით:

- ☐ პერიოდიზაციის სამწევროვანი სისტემა
- ☐ პერიოდიზაციის პტოლემაიოსის სისტემა
- ☐ პერიოდიზაციის სისტემა ცივილიზაციების მიხედვით

5. ჩაასწორეთ ტექსტში დაშვებული შეცდომები

მსოფლიო ისტორიის „ოთხ სამეფოდ“ დაყოფა

ძველი მსოფლიოს მუსლიმურ ისტორიულ მწერლობაში საყოველთაოდ მიღებული იყო მსოფლიო ისტორიის „ოთხ სამეფოდ“ დაყოფა. პერიოდიზაციის ეს სისტემა აიგო ცელარიუსის „მსოფლიო იმპერიებად“ დაყოფის პრინციპზე და ამავე დროს მას ყურანი დაედო საფუძვლად, კერძოდ კი „თიხისფეხა კერპის“ სურათი დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან. „დანიელის წინასწარმეტყველებაში“ ვკითხულობთ, რომ დანიელი ერთადერთი აღმოჩნდა ბაბილონის მეფე ლუი XIV-ის კარზე ურიცხვ მოგვთა, შემლოცველთა და ჯადოქართა შორის, ვინც შეძლო ძლევამოსილი ხელმწიფის სიზმრის ახსნა. ლუი XIV-ს უზარმაზარი, საშინელი კერპი ესიზმრა. ლუი XIV-ის სიზმარში კერპი „ხელისუკვრელად მოწყვეტილმა“ ტოტმა დაამსხვრია. ნაბუქოდონოსორის წინასწარმეტყველების თანახმად, ასევე დაიმსხვრეოდა „ოქროს სამეფო“, შემდეგ კი „ზეციური ღმერთის სამეფოს“ ხანა დადგებოდა და „დროებით იდგებოდა“.

6. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს (1789-1799) უარყვეს რევოლუციონერთა თვალსაზრისით „ქრისტიანი სამღვდელოების ცრურწმენებზე დამყარებული დრომოჭმული კალენდარი“ და დაამკვიდრეს რევოლუციური, ახალი კალენდარი, რომელშიც კვირების ნაცვლად, შემოღებული იყო დეკადები (ათდღიანი კვირა). რევოლუციონერთა ნაწილი ახალი კალენდრის დამკვიდრებას აღფრთოვანებით შეხვდა, მეორე ნაწილი კი, პირიქით, მისი დამკვიდრების წინააღმდეგი იყო.

დავალება:

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც ახალი კალენდრის დამკვიდრების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

_____

_____

_____

_____

_____

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც ახალი კალენდრის დამკვიდრების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

_____

_____

_____

_____

_____

7. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს

წყარო 1

ილია ჭავჭავაძე ისტორიის შესახებ:

,,ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს ... თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა, ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი გაეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“.

ტექსტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულება, თუ რას მიიჩნევს ილია ერის ერთიანობისათვის უმთავრესად და რატომ?

ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ, რას გულისხმობს ილია, როცა აღნიშნავს: „თუნდ დროთა ბრუნვას ერი გაეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი ... მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ... თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს “?

თქვენი აზრით, რა დროსა და რა მოვლენას უკავშირდება ამონარიდის უკანასკნელი წინადადება და რა დატვირთვას ატარებს ის?

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი, თუ რამდენად ეხმიანება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ილიას დროინდელ საქართველოს და რით?

1. განმარტეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები

აბსტრაქტული წყაროები

ბილინგვა

გერბი

ეგო-დოკუმენტები

დოკუმენტური წყაროები

ისტორიული კარტოგრაფია

ნარატიული წყაროები

ნივთიერი წყაროები

კარტუში

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი

2.1 ისტორიული წყაროების მეცნიერული შესწავლა და კლასიფიკაცია იწყება:

ა) XX საუკუნეში;
ბ) XIV საუკუნეში;
გ) XVII საუკუნეში;
დ) XIX საუკუნეში.

2.2 „დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქას“ უწოდებენ:

ა) XX საუკუნეს;
ბ) XIX საუკუნეს;
გ) XVII საუკუნეს;
დ) XIV საუკუნეს.

2.3 ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის წყაროთმცოდნეობითი ბაზა განისაზღვრა:

ა) XX საუკუნის შუა ხანებში;
ბ) XIV საუკუნის შუა ხანებში;
გ) XVII საუკუნის შუა ხანებში;
დ) XIX საუკუნის შუა ხანებში.

2.4 ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი ფორმულაა:

ა) კარტოგრაფიულ ცოდნაზე დამყარებული ისტორიული დასკვნები;
ბ) გეოგრაფიულ ცოდნაზე დამყარებული ისტორიული დასკვნები;
გ) კარტოგრაფიულ ცოდნაზე დამყარებული გეოგრაფიული დასკვნები;
დ) ისტორიულ ცოდნაზე დამყარებული გეოგრაფიული დასკვნები.

2.5 ჟან-ფრანსუა შამპოლიონმა გაშიფრა:

ა) როზეტის ქვის წარწერა;
ბ) არმაზის ბილინგვა;
გ) ბეჰისტუნის კლდის წარწერა;
დ) ფესტოსის დისკოს წარწერა.

2.6 ევროპაში სამეცნიერო ნუმიზმატიკის მამამთავრად აღიარებულია:

ა) გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდი;
ბ) მიხეილ ბარათაშვილი;
გ) იოსებ ილარი ეკელი;
დ) ჰენრი რაულინსონი.

2.7 ჰერალდიკის მამა უწოდეს:

ა) გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდს;
ბ) კლოდ-ფრანსუა მენესტრიეს;
გ) ჟან ფრანსუა შამპოლიონს;
დ) ჰენრი რაულინსონს.

2.8 ერთ-ერთი უძველესი გენეალოგიური ცხრილი დაფიქსირებულია:

ა) შუა საუკუნეების ქრონიკებში;
ბ) ჰეროდოტეს ისტორიაში;
გ) ქართლის ცხოვრებაში;
დ) ბიბლიაში.

2.9 პირველი სპეციალური ნაშრომი სფრაგისტიკაში გაჩნდა:

ა) XIX საუკუნეში;
ბ) XIV საუკუნეში;
გ) XVII საუკუნეში;
დ) XX საუკუნეში.

2.10 რომაულ ჯარში მაუდის დროშები – „ვექსილუმები“ შემოიღო:

ა) იულიუს კეისარმა;
ბ) გაიუს მარიუსმა;
გ) ოქტავიანე ავგუსტუსმა;
დ) ტიტუს ლივიუსმა.

3. გაიხსენეთ, ვის ეკუთვნის სიტყვები:

3.1 „კაცობრიობა ვითარდებოდა თანდათანობით, განვითარების სამი სტადიის – ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის გავლით.“